

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №11

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N 65

13.07.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, მალხაზ ცერცვაძე, კობა ძაგნიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში - **სალომე ფახურიძე**.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - **ვანდა გიორგაძე**;

სხდომა 14⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომა სხდომის თავმჯდომარემ - ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: /გიორგი ივანიაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ დიხაშხოს N12 ქუჩისთვის ნიკოლოზ აგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ზეინდრისა და სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;

მომხს: /ვანდა გიორგაძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;

მომხს: /ვანდა გიორგაძე/

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ვანის და ბზვანის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;

მომხს: /ვანდა გიორგაძე/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2021 წლის 13 ივლისის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის დღის წესრიგის პროექტს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ-გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ინფორმაცია, წარმოგიდგენთ ცნობისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმას, აღნიშნული საკითხი არ გადის საკრებულოს სხდომაზე;

განსახილველი და მისაღები ნორმატიული აქტების პროექტებია:

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ;
2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების პროექტის განხილვის შესახებ;

მოსამენი და განსახილველი ანგარიშებია:

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;
2. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ანგარიშების მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;
3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშის მოსმენა განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე;

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, ბიურომ დაამტკიცა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა, ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

(დანართი თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსმა-ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი, რომლის მიხედვითაც ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ დიხაშხოს N12 ქუჩას მიენიჭოს მწერლისა და პუბლიცისტის ნიკოლოზ აგიაშვილის სახელი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2021 წლის 13 ივლისის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

(დანართი თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმიდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსმა-ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ზეინდრისა და სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% .

აღნიშნული ღირებულების პროექტებზე მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება, განკარგულების პროექტის მიხედვით მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიას დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შ.პ.ს. „ორიენტირ“-თან შემდეგი მიზნით:

1. ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მაღლაკელიძე-ჭელიძეები-ცინცაძეების უბანი (მეორე ეტაპი)- 342576,10 ლარი.

2. სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სანიკიანების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია- 586 578,71 ლარი.

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 929154,80 (ცხრაას ოცდაცხრაათას ასორმოცდათოთხმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2021 წლის 13 ივლისის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

(დანართი თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსმა-ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით; განკარგულების პროექტის მიხედვით მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიას დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შ.პ.ს. „გზებ“-თან შემდეგი მიზნით:

ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, კერძოდ;

1. ზედაეწერ ტობანიერი კაცაძეების უბანი- 134751,76 ლარი
2. მეფარიშვილების უბანი - 141083,18 ლარი
3. მინაშვილი-ჯულაყიძეების უბანი - 183901,38 ლარი
4. მაჭუტაძეების უბანი - 31641,81 ლარი
5. კუმუბოურის უბანი - 196608,79 ლარი

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 687986,92 ლარს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2021 წლის 13 ივლისის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

(დანართი თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსმა-ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ვანის და ბზვანის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიხედვით, მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიას დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შ.პ.ს. „გზებ“-თან შემდეგი მიზნით:

1. ქ. ვანში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია კერძოდ;
 - გ. ტაბიძის ქუჩის შესახვევები -სავარაუდო ღირებულება შეადგენს 371668,36 ლარს;
 - წმინდა ნინოს ქუჩის შესახვევები-სავარაუდო ღირებულება შეადგენს 56020,38 ლარს;
2. ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (ბზვანი-ზედაბზვანის დამაკავშირებელი)-სავარაუდო ღირებულება 408789,00 შეადგენს ლარს.

სულ ხელშეკრულების ღირებულება ჯამში შეადგენს 836477,36 ლარს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2021 წლის 13 ივლისის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

(დანართი თან ერთვის

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდგომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე